№ 115. 1 ივნისი, კვირა. 1866—1880 1 ივნისი, კვირა № 115.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

რედაქცია

ვენახმეიდანზე, შუა-ბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ ჯუთინსკის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროებას“-„ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію Дроэба“-„Иверіи“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

	წელიწადში.	6 თვეს.	3 თვეს
„დროება“-„ივერია“ ერთად . .	13 მან. . .	7 მან. .	4 მ.
ცალკე „დროება“	9 მან. . .	5 მან. .	3 მ.
ცალკე „ივერია“	6 მან. . .	4 მან. .	2 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასომთავრულით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

დროება

1 ივნისიდამ წლის დამლევამდინ
ღირს ექვსი მანეთი
„დროება“ და „ივერია“ ერთად
1 ივნისიდამ წლის დამლევამდინ
(„ივერიის“ სამი წიგნი)
ღირს ცხრა მან.

(ამ წლის „ივერიის“ პირველი წიგნი რედაქციაში აღარ არის).

წყალობითა ღვთისათა
ჩვენ, ალექსანდრე მეორე
იმპერატორი და თვით მპყრობელი
ყოვლისა რუსიისა, მეფე პოლშისა,
დიდი მთავარი ფინლანდიისა
და სხვათა და სხვათა და სხვათა.

ვაუწყებთ ყოველთა ჩვენს ერთგულთ ქვეშევრდომთა:

ყოვლად-პყრობელმა ღმერთმა, თავისის მიუწდომელ წმინდა განგებით ინება, რათა მოევლინა ჩვენთვის მძიმე განსაცდელი, რომელმანც ჩვენ და ჩვენი სახლობა განუსაზღვრელ მწუხარებით აღგვავსო: მაისის 22-ს, ხანგრძლივის ავათმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა საყვარელი მეუღლე ჩვენი იმპერატრიცა. ვერც გამოცდილ ექიმების წამლობამ, ვერც მახლობელთა ერთგულმა, დაუცხრომელმა და ნაზმა მზრუნველობამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ვერა უშველეს-რა იმას, რომლის მთელი სიცოცხლე უკანასკნელ ჟამამდინ შეწირული იყო თავის ქვეყნიერ ცხოვრების მაღალ დანიშნულებათა და ქრისტიანულ მოვალეობათა აღსასრულებელად.

მიცვალებულის დაუღალავი, დედობრივი ზრუნვა იმის ხელ-ქვევით მყოფ სასწავლებელთა შაგირდებისათვის; იმის გულმტკივნეული მონაწილეობა გავლილ ომის თანამორწმუნე მსხვერპლთათვის,—იმედი მაქვს სამუდამოდ ჩაინერგება გულში ყველას ვისთვისაც იმას სიკეთე უყვია და ღირსეულად დაფასებული იქნება საიქიო ცხოვრებაში ყოვლად-კეთილის უზენაეს მსაჯულისაგან.

ამ რწმენაში ჩვენ ერთად-ერთს ნუგეშსა ვპოვებთ, მოწიწებით მუხლს მოვიდრეკთ უზენაესის განგების წინაშე და ჩვენს საყვარელ ქვეშევრდომთა მოვიწვევთ, რათა ჩვენთან ერთად ევედრონ ზეციერ მამას მიცვალებულის წმინდა სულის სასუფეველსა შინა განსვენებისათვის.

გამოცემულია პეტერბურღში, 22 მაისს, ქრისტეს დაბადებიდამ ათას რვაას ოთხმოცს წელს, ჩვენის მეფობის ოცდა-მეექვსე წელსა.

დედანზე საკუთარის მისი იმპერატორებითი უდიდესობის ხელით მოწერილ არს:

„ალექსანდრე“

„წერა-კითხვის საზოგადოების“ ანგარიში.

ტფილისი, 31 მაისს.

ბევრი საყოველთაოდ სასარგებლო და თანაგრძნობის ღირსი კერძო „საზოგადოება“ დაარსებულა ჩვენში, ამ უკანასკნელს ათი-თუთხმეტის წლის განმავალობაში; მაგრამ არც ერთი ამ საზოგადოებათაგანი არ ყოფილა ისეთის მაღალის მნიშვნელობისა და ჩინებულის მიზნისა, როგორც ის საზოგადოება, რომლის სახელი ამ შენიშვნის სათაურში არის მოხსენებული.

ეს მიზანი საზოგადოების წესდების პირველს მუხლში არის მოყვანილი:

„საზოგადოებას მიზნათა აქვს წიგნის ცოდნისა და თავ-და-პირველი სწავლის გავრცელება ქართველებში, სადაც კი კავკასიის სანამესტნიკოში ისინი მოსახლობენ.“

წიგნის ცოდნის გავრცელება—ამაზე უმაღლესი და უწმინდესი მიზანი რაღა უნდა იყოს!

მეორე მუხლში წესდებისა ჩამოთვლილია—თუ ამ მიზნამდინ მისაწევნელად საზოგადოებას რა-და-რა სახსართა ხმარების უფლება აქვს: გახსნილს შკოლებს დაეხმარება, ახლებს გახსნის, სახალხოთ წიგნების კითხვას გამართავს და საკითხავებსა გახსნის; სახელმძღვანელო წიგნებსა დაბეჭდვინებს, შეუძლიან გამოსცეს თავის საკუთარი ჟურნალი ანუ გაზეთი, გამართავს ბიბლიოთეკებს, შკოლებისათვის მასწავლებლებს მოამზადებს—ამისათვის შეუძლიან თავის საკუთარი სამასწავლებლო სემინარია ანუ კურსები გამართოს, სახელმძღვანელო წიგნების შემადგენელს პრემიას (ჯილდოს) მისცემს და სხვ. და სხვ.

ერთის სიტყვით, ამ „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ მიზანი ჩინებული აქვს და ამ მიზნის მისაღწევნელად გზა—ბლომად.

ამის-და-გვარად ქართველმა საზოგადოებამაც თავიდამვე დიდი თანაგრძნობა გამოუცხადა ამ კერძო საზოგადოებას. ამ საზოგადოების ახლად-დაბეჭდილის წლიურის ანგარიშიდამ ვტყობულობთ, რომ გავლილის წლის განმავალობაში საზოგადოებას ჰყოლია 122 წევრი—დამფუძნებელი და 123 ნამდვილი წევრი სულ—245, რომელთაგან 3,000 მანეთამდი შემოსავალი უნდა ჰქონოდა. ამას გარდა დაარსებისათანავე საზოგადოებამ მიიღო: თფილისის საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელთ კრებისაგან—11,000 მან. და ამდენივე კიდევ ქუთაისის დამფუძნებელთაგან.

ახლად დაბეჭდილი ანგარიში წერა-კითხვის საზოგადოების წლიურის მოქმედებისა გვიმტკიცებს, სამწუხაროდ, რომ ამ საზოგადოებას, თავის მიზნის მისაღწევნელად ჩვენის აზრით იმდენი ვერ გაუკეთებია, რამდენის, გაკეთებაც შეეძლო. მართალია, ანგარიშიდამ სჩანს, რომ საზოგადოების მმართველობას სხვა-და-სხვა პირებთან მიწერ-მოწერა ბევრი ჰქონია, მოლაპარაკება და სჯაც ხშირი, სხვა-და-სხვა კარგი და სასარგებლო პროექტებიც ბევრი შეუდგენია და განუხილავს,—მაგრამ გაკეთებული საქმე კი ერთობ ცოტა სჩანს, ერთობ ცოტა სჩანს მოქმედება მმართველობისა.

მაგრამ სჯობს პირ-და-პირ შეუდგეთ თვითონ ამ ანგარიშის განხილვას.

აი რა ცნობები მოუკრებია და რა გაუკეთებია მმართველობას ამ ერთის წლის განმავლობაში:

გავლილ წელს თფილისის გუბერნიაში სულ 29 სახალხო შკოლა იყოვო, ქუთაისისაში კი—84. ამ შკოლებში სწავლობდაო: თფ. გუბერნიაში—1016 ყმაწვილი და ქუთაისის გუბ. 2,607. ამ რიცხვებიდამ თფ. გუბ. შკოლებში არის: ვაჟი—936 და

ფელეტონი

—

საკვირაო საუბარი

ახლა კი სწორეთ ზაფხული დაგვიდგა ქალაქელებს. წვიმა აგერ ერთი კვირაა აღარ მოვიდა. დღისით ცხარე მზე თუმცა გვწვავს, პაპანაქება ჯერ არ არის; საღამოობით კი ჯერ-ჯერობით გრილა და ტოთი არ გვინახავს.

ხალხი პატარათ უფრო მოძრაობაშია, ვიდრე აქამდის იყო; გამოდის საღამოობით ჰაერის ჩასაყლაპავათ ან ალექსანდროვის ბაღში სასეირნოთა, ან ძველ ქალაქში ძველის ჩვეულებისამებრ ძველ ვიწრო ქუჩებში დასასხდომათ და სამასლაათოთა.

მტვერი ისევე ძველი ასდის ჩვენს ქუჩებსა და შუა ბაზრის შოსესა. ორს თუ სამ დიდ ქუჩას რწყვენ, მაგრამ ეს შუა-ბაზარი, ვითომ შოსსეთ რომ არის გაკეთებული და ნამდვილათ კი ხევს დამსგავსებია, ღორღით ავსებულა, შენი მტერი იყოს რაც ეს არის.

⁂

ძლივს ორშაბათს გადასწყდა ამ შუა-ბაზრის საქმე. ქალაქმა ქვით დაგება გადასწყვიტა, და აგრეთვე გვერდების ტროტუარების გაკეთებაცა.

ერთი რამ კიდევ საჭიროა. ამ რამდენიმე წლის წინათ მთელ შუა-ბაზარში ბარეთუბნიდამ მოყოლებული მეიდნამდე წყლები გამოდიოდა და მედუქნეები თითონვე რწყავდნენ მთელ ბაზარსა. წყაროების ადგილები დარჩენილია დღევანდლამდე და ამ ორი წლის წინათ ერთხელ-ორჯერ, თხუთმეტის წლის შემდეგ დაგდებისა, წყალი გამოუშვეს. წყაროები კარგი გამოდგა. წყალი სოლოლაკიდამ მოდის პოლიციის წინა შადრევანში, იქიდამ უვლის მთელ ბაზარს. ადრე წყაროს აუზები იყო ჯიგრაშენთან, (ახლა აღარ არის), კუთხეში, მეორე ახლაც არის სარაჯოვის ქარვასლის გვერდით, მესამე აგრეთვე დარჩენილია მეხანჯლეების თავში, მეოთხე სიონის სამრეკლოს გვერდით იყო, მეხუთე თათრის მეიდანზე ბაზაზხანიდამ გასავალში და მეექვსე ამ მეიდანზევე მეტეხის ხიდის შემოსავალთან. მეოთხე, მეხუთე და მეექვსე სულ დაუქცევიათ და ახლა ან დუქნები გაუკეთებიათ, ან სულ ცარიელი ადგილია.

ამ ბაზრის გარდა ქალაქს სხვა-და-სხვა ადგილასა ჰქონდა წყაროები, მაგალითად ეხლანდელ სამხედრო ოლქის სასამართლოსთან, „ლონდონის“ სასტუმროსთან და სხვანი.

ქალაქის დაუდევრობამ ეს წყაროები სულ დააშრო. ახლა ხომ სულ აღარას დასდევენ აქაო და მთელის ქალაქის ქუჩებისთვის წყლის გამოყვანას ვაპირებთ როდისმეო. იმ დრომდის კი ხალხი უწყლობით მტვრისა და სიცხისაგან იხოცება. აკი მოგახსენეთ, სულ დიდ-დიდი საქმეები გვინდა და პატარის ღონე კი არა გვაქვს. „კარგს არ მაღირსიანო და ავს არ მაკადრიანო“—სწორეთ ეს გახლავს.

აქაური თათრები კი საკვირველია, სად შოულობენ ამ წყალსა? ქალაქის ორ მეჩითში შიისა და სუნნისა, აგ-

ქალი 80, ქუთაისის გუბ. 2,572 ვაჟი და 35 ქალი.

საზოგადოთ მიღებულს ცნობებიდამ აღმოჩენილა, რომ ჩვენებური შკოლები ძალიან შევიწროებულ მდგომარეობაში ყოფილან: მომეტებულ ნაწილს არ ჰქონია საკმაო მებელი, ჰკლებია შეშა და სხვა და სხვა.

საზოგადოების მმართველობის მოქმედება ყოფილა:

რამდენიმე სასოფლო ღარიბ შკოლისათვის თუ ფულითა, თუ სასწავლებელ მასალებით შემწეობა აღმოუჩენია;

დაუნიშნავს ხუთი სტიპენდია გორის სამასწავლებლო ინსტიტუტში, თითო 130 მანეთიანი, იმ პირობით, რომ სწავლის შესრულების შემდეგ სტიპენდიატმა 6 წელიწადი ემსახუროს საზოგადოების შკოლაში;

გარდასწყვიტა შკოლის გამართვა თფილისში (ჯერ არ გაუმართავს);

გარდაწყვიტა თითო შკოლის გამართვა ბათუმში, სვანეთში და ერთი საქალებოც შკოლაც დ. ხონში. (ჯერ არ გაუმართავს, მაგრამ, როგორც ანგარიში ამბობს, მმართველობა უკვე შეუდგა საჭირო მიწერ-მოწერასა ვისთანაც ჯერ არსო“);

მმართველობას სახეში აქვსო, რომ მასწავლებლების მოსამზადებელად გამართოს თფილისში პედაგოგიური კურსები;

საზოგადოებამ საჭიროდ დაინახა დაენიშნა პრემიები (ჯილდო) პირველ დაწყებით სახელმძღვანელო წიგნების შედგენისათვის;

აპირებს წიგნებისა და შკოლებისათვის სახმარ ნივთების დეპოს გამართვას;

აპირებს ბიბლიოთეკის გამართვას და სხვ. და სხვ.

ერთის სიტყვით, მმართველობა ბევრ რასმეს გვპირდება, ბევრის გამართვასა და გაკეთებას, მაგრამ გაკეთებულს საქმეს შესრულებულს რასმე ჯერ-ჯერობით კი ერთობ ცოტას ვხედავთ. გვეტყვიან, ჯერ ეს ახალი საქმეა, მმართველობას გამოცდილება არ ჰქონია, აჩქარება ამ გვარ საქმეებში არ შეიძლებაო და სხვ. და სხვ. იქნება ეს მართალიც იყოს, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, მმართველობას რომ უფრო ცოტა მიწერ-მოწერა გაემართა, რომ უფრო ნაკლები ფორმალისტებით შესდგომოდა საქმეს, უფრო ცოტა სჯა და ბაასი ჰქონოდა და ცოტათი უფრო მომეტებული ენერგია გამოეჩინა, უეჭველია, მეტის გაკეთება შეეძლო.

ცნობების შეკრება, რასაკვირველია, საჭირო იყო, მაგრამ არც ამ გვარად, და ზოგიერთს შემთხვევაში ცნობების შეუკრებელადაც ადვილად შეეძლო მმართველობას საქმის გარიგება; მაგ. რა ბევრი ცნობების შეკრება იყო საჭირო ბათუმში შკოლის გასამართად? რა მიწერ-მოწერა და ბაასები იყო საჭირო ახლანდელ შკოლების მდგომარეობის შესატყობად?

ამ ნაირად, ჩვენის აზრით, ამ ფრიად სასარგებლო საზოგადოების მმართებლობამ ისე მხნეთ და ენერგიულად ვერ წაიყვანა ამ პირველ წელიწადს თავის საქმე, როგორც მოსალოდნელი იყო, როგორც შეეძლო და რამდენსაც ქართველ საზოგადოებისაგან უხვად მიცემული ღონის-ძიება ნებას აძლევდა.

მაგრამ ამაში მარტო ეს მმართველობაც არ არის გასამტყუნარი; ერთი წილი ბრალდებისა თვითონ ჩვენს საზოგადოებასაც აქვს.

მართლა, ყოველი ამ გვარი საქმე მხოლოთ მაშინ წარიმართება კარგათ, როდესაც ხალხი, საზოგადოება თვალყურს ადევნებს, ამხნევებს, აქეზებს და ინტერესებს იჩენს ამ საქმეში. საზოგადოების გულ-გრილობა მოკლავს, რაც უნდა კარგი საქმე იყოს.

ამ მხრით ჩვენი მოწინავე, ესრედწოდებული საზოგადოება მართლა რომ გასაკიცხავი და დასაძრახისია. ერთობ ცოტა თანაგრძნობას იჩენს ის ამ გვარს საქმეებში, ერთობ ცოტა ინტერესს აცხადებს, თითქო ყველა ეს იმას სრულებითაც არ შეეხებაო. პირველად თითქო მხურვალებით ეჭიდება, ცოტა ფულსაც შესწირავს, დაიარება კიდეც ყრილობაზედ; მაგრამ შემდეგ, როცა მმართველობას ან კომიტეტს ამოირჩევს, თავის მოვალეობა საუკუნოთ შესრულებული ჰგონია და თავს აღარ იწუხებს.

საცა საზოგადოებაში ამ გვარი გულ-გრილობაა, იქ საზოგადო საქმეების ენერგიულად, მარჯვედ და გულ-მოდგინეთ წაყვანას არ უნდა მოველოდეთ.

ს. მ.

გლადსტონის სამინისტრომ აგრძნობინა ოსმალეთის მმართებლობას, რომ იმას საქმის გადადება არ უყვარს. ერთი გუშინდელი ტელეგრამმა გვაცნობებს, საფრანგეთის ხომალდები საბერძნეთიდამ სტამბოლისკენ გაემგზავრნენო; მათ მალე მიჰყვება იტალიის და ინგლისის ხომალდებიცაო; მეორე გვაცნობებს ოსმალეთის სამინისტროს გამოცვლას.

ამ ორსავე ტელეფრამმას დიდი კავშირი აქვთ ერთმანეთთან. თითქმის ყველა სახელმწიფოები ინგლისის თაოსნობით თხოულობენ ოსმალეთისაგან, მალე დაპირებული რეფორმები მოახდინე და საბერძნეთს და ჩერნოგორიას პასუხი გაეციო.

ოსმალეთს არაფრათ ეჭაშნიკა ეს „დაჩქარება;“ იქაური გაზეთები იძახოდნენ, მუსულმანები ვერ მოითმენენ ევროპის გარევას ოსმალეთის საქმეში და ქრისტიანებს ცუდს დღეს უქადოდნენ.

აი ამ დღის ასაცილებლათ და პირში ლაგმის ამოსადებლათ გაუგზავნია საფრანგეთს თავისი ხომალდები სტამბოლისკენ და მალე სხვა სახელმწიფოებიც გააყოლებენ თაეიანთ ხომალდებს, თუ მათ შუა ჩვეულებრივი შური და ქიშპობა არ ჩამოვარდა.

ისე ვერაფერი დიპლომატიური ქაღალდი ვერ შეაშინებდა ოსმალეთს, როგორც ამ ხომალდების გამგზავრებას შეუშინებია.

ამ შიშს უნდა დაბრალდეს ასე უეცარი გამოცვლა სამინისტროსი.

ჩვენ არ ვიცით რა გზას დაადგებიან ოსმალეთის ახალი ვეზირი აბბედინი და ახალი პირველი მინისტრი— ქადრი-ფაშა, მაგრამ ჭკუაზედ ახლოა, რომ ესენი წინააღმდეგობას არას გაუწევენ მთელის ევროპის სურვილს და ეცდებიან შეასრულონ ის რეფორმე, რომელიც აღუთქვა ოსმალეთმა ბერლინის კონგრესს, თუ რეფორმების შესასრულებლათ ოსმალეთს წელი მიჰყვა და ფულები არ შემოაკლდა.

მ.

ახალი ამბები

გუშინ-წინ, 29 მაისს, ღამის მეთერთმეტე საათზე რიყეზე ჩამოიქცა ხოსროევის ქარვასლის ერთი ნაწილი და ხუთი კაცი დაიყოლია; ამბობენ, არც ერთი ამათგანი არ მომკვდარაო.

⁂

ქალაქში ბრაზიანი ძაღლები გაჩნდნენ. ჩვენ გვაცნობებენ, რომ ამ დღეებში ვიღაც ორი კაცი დაუკბენია ბრაზიან ძაღლსა.

სიცხემ დაიჭირა და ამისთანა შემთხვევას ხშირად უნდა მოველოდეთ, თუ ქალაქის გამგეობამ ყურადღება არ მიაქცია და უფრო რიგიანად არ მოიხმარა ის ოთხმოცი თუმანი, რომელიც მაწანწალა ძაღლების დასახოცავად არის ქალაქის რჩევისაგან დანიშნული.

⁂

აბაშის სტანციიდამ (სამეგრელოდამ) გვწერენ, რომ მაისს 28-ს აქედამ 759 კაცი წაიყვანეს სოფ. ქასპში (ქართლში) კალიის გასაწყვეტათაო.

⁂

გუშინ-წინდელს ნომერში ერთი პატარა—შეცდომა მოგვივიდა: მოხსენებული იყო, რომ თფილისის კლასიკურ გიმნაზიაში წელს ორი ქართველი ყმაწვილი ათავებს სწავლასაო. ახლა ნამდვილად შევიტყვეთ, რომ ორი კი არა, წელს ხუთი ქართველი ათავებს ამ გიმნაზიაში კურსსა.

⁂

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ერთი ქართველი ყმაწვილი კაცი შესდგომია რეიფის ლექსიკონების მზგავსის ქართულ-რუსულის ლექსიკონის შედგენას; ამ ჟამად ასო „რ“-მდინ მივიდაო

რეთვე გორხანაზე ნახეთ რა წყლები მოუდით. ამას გარდა აბანოების პატრონები ქექენ, ქექენ ამ კლდეებსა და პოულობენ კიდეცა. ნუ თუ ქალაქს არ შეუძლია პოვნა, რომ ცოტას ხარჯით ჯერ-ჯერობით პატარა წყლები გამოიტანოს და იოლათ წაგვიყვანოს იმ დრომდის, სანამ უფრო საფუძვლიანათ და მკვიდრათ საქმე გათავდებოდეს. იმ დრომდის ხომ ერთი ათი-ოცი წელიწადი გაივლის.

⁂

გაზეთებმა ამ კვირას პატარა სანუგეშო ამბები გვაცნობეს კალიის შესახებ. ამათ შორის მეურნეობის ინსპექტორის მოროზის წერილმა გვაცნობა, რომ განჯისა და ბაქოს გუბერნიებში მთავრობის და ხალხის მუშაობით კალია ისე შემცირდაო, რომ თუ სრულად არ ავიცდენთ კალიისაგან ზიანსა, იმდენათ ნაკლები იქნება ჩვენი ზარალიო, რომ ხალხის კეთილ-დღეობას არ დასცემსო.

რაც ამბები მოგვდის ქართლ-კახეთიდამ, იქაც დიდ-ძალი კალია დაუხოცავთ და მუშაობა ჯერ ისევ არ გათავებულაო. ხალხს იმედი აქვს გადარჩენისა და მშვენიერს მოსავალს მოელის, თუ კალია სრულად გასწყვიტა და როგორმე სხვა ადგილიდამ არ მოფრინდა.

შესანიშნავია ის გარემოება, რომ კალია წყალში ჩადის, მიცურავს ყარაიაზისაკენ. იქ ნაპირ გამოსვლის დროს ხალხი ნაპირზე აგროვებს და ხოცავსო.

⁂

რაც აქამდის მოსული მუშა ხალხი შეწუხებული იყო ამ ჩვენს ქალაქში, ეხლა უფრო მოკეთდა. ავათმყოფები თითქმის იმათში აღარ არისო. მუშის ფასმა ამ ორ კვირაში ექვსი შაურიდგან ათ შაურამდე აიწია. ამ დროს ყოველთვის ქალაქში სამ აბაზზე ნაკლებ ტალახის მუშას ვერ ნახავს კაცი. წრეულსსც ათ შაურ ნაკლებ არ იყო აპრილში; მაგრამ მოსულმა მშიერმა ხალხმა ძალიან დასწია ფასი ასე, რომ აპრილის უკანასკნელ დღეებში და მაისის დამდეგს მუშა სამ შაურათ და აბაზათ ბევრი იშოვებოდა, იხვეწებოდნენ; ამ მოსულებში ცოლ-შვილიანად მოსულებიც კროები ბევრნი არიან და, ამბობენ: პირველ ხანებში პატარა გოგოებს 12—15 წლისას მოსამსახურეთ აყენებდნენ, ოღონც კი პური აჭამეთო. ამ მოსულ ხალხს ახლა ის განწირულების მწუხარე სახე აღარ ეტყობათ. მოსულიერებულან და ბალღები კიდეც დახტიან მხიარულათა და კმაყოფილებითა.

საზოგადოთ ხალხი როგორღაც უფრო იმედიანათ არის, წელ-მოწყვეტილივით არ დაიარება. ერევნისკენ მანანაც მოსულაო; თუ მართლა და წრეულს კალიას გადარჩა ჩვენი ქვეყანა და რაც მოსავალი ჩანს ხალხს შერჩა, წლევანდელი წელიწადი ერთ ისტორიულ დღეთ უნდა ჩავთვალოთ ჩვენის ხალხის ამაოდ-მორწმუნოებით დაჩაგრულ ცხოვრებაში. მაგრამ წინასწარ ლაპარაკს თავი დავანებოთ.

ანჩხატელი.

და იმედი აქვსო რომ მალე გაათავებს თავის შრომასაო.

* * *

მას აქეთ, რაც მუხრანიანთ ხიდთან ქასუმოვის პარომია გამართული, წელიწადი არ გასულა, რომ ერთხელ მაინც არ მოეტაცოს ეს პარომი მტკვარს წყალ-დიდობის დროს. აი ახლაც პარომი მოტაცებულია და ქასუმოვი ახალს აკეთებს, რომელიც, უეჭველია, პირველ წყალ-დიდობამდინ იარსებებს: მიზეზი ამისი ის არის, რომ იქით-აქეთ მტკვრის ნაპირზე ნაშალი მიწაა და თავების დასაჭერი სვეტები ვერ მაგრდება.

თუ მივიღებთ მხედველობაში ერთის მხრით ამ გარემოებასა და მეორეს მხრით იმას, რომ აქ წყალზე გასავალი საშვალება ერთობ საჭიროა, არ შეგვიძლია არ გამოვაცხადოთ სურვილი, რომ ქალაქის თვით-მმართველობამ მოიფიქროს და გარდაწყვიტოს ამ ადგილას სამუდამო ხიდის გაკეთება, ჯაჭვის ხიდისა მაინც. მართალია, ჩვენი ქალაქის ხაზინა ამ ჟამად ცოტა არ იყოს ღარიბია, სუსტათაა ფულებზე; მაგრამ თვითონ თუ ვერ მოახერხებს, ყოველთვის ამოჩნდებიან იმისთანა კერძო, ფულიანი პირები, რომელნიც დიდის სიამოვნებით იკისრებენ აქ ხიდის გამართვას, თუ კი ქალაქი იმას ამ ხიდით სარგებლობის უფლებას მისცემს რამდენიმე წლის ვადით...

* * *

ზოგიერთს რუსულ გაზეთებში იწერებიან, რომ იმ კამისიას, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ყოფილა დაწესებული, შეუდგენია ახალი კანონები და წესდება ფოჩტის თაობაზედ და ეს წესდება მალე უმაღლესს მთავრობას უნდა წარუდგინონ დასამტკიცებელადაო.

* * *

ჩვენს ქალაქში გამოცემულ დღენაკლებ გაზეთების რიცხვს ერთი კიდევ ემატება.

მილაც ხითაროვს გამოუცხადებია რომ ამ დღეებში დავიწყებთ ახალის გაზეთის გამოცემას რუსულ ენაზედაო, „კავკასიის განცხადებათა ფურცელს“ **(Листокъ Кавказкихъ объявленій)** ეტყობა ეს გაზეთი „თბილისის განცხადებას“ უნდა გაეჯიბროს.

წერილი რედაქტორთან

ბ. რედაქტორო! თქვენის პატივცემულის გაზეთის მე-26 №-ში გამოცხადებული იყო შეტყობის სურვილი—თუ როგორ მიდიოდა ქართულ საეკლესიო გალობისა საქმე. თუმცა დაგვიანდა პასუხი, მაგრამ მოიმედე ვარ არ გამკიცხვენ ამისთვის.

მართალი არის, რომ გურიიდგან მოწვეულნი მგალობლები, მინამ ესცხოვრებდი ანჩხატის საეკლესიო სახლებში, სადაც სცხოვრებდნენ ისინიც, ასწავლიდნენ გალობას და მეც ჯეროვანი ყურადღება მქონდა მიქცეული; მაგრამ, რადგან ის ჩემი საცხოვრებელი ოთახები დასჭირდათ ეპარხიის საქალებო სასწავლებლისათვის, მე გადმოვესახლდი. სინოდის კანტორის ოთახებში და, რასაკვირველია, დავშორდი მგალობლებსაც.

ამისათვის და სხვა მიზეზებისათვისაც მე იძულებული შევიქმენ სრულიად დავთხოვნოდი კომიტეტის წევრობიდგან, რომელიც კიდეც მოხდა განვლილის წლის ოქტომბრის თვეში. შემდეგ თავმჯდომარედ ამორჩეული ბრძანდება ყოვლად-სამღვდელო ეპისკოპოსი ალექსანდრე და წევრებად არხიმანდრიტი გრიგორი (დადიანი) და მღვდელი ალექსანდრე მოლოდინოვი, მღდელი გრიგორ მღებრიევი, რეგენტი ექსარხოსის ხორისა დიაკონი ვასილ ბუშევი და უ. მიხაილ მაჭავარიანი, რომელთაც მიენდოთ ქონდათ ჯეროვანი ყურადღება, ხოლო რაც შეეხება იმას, რომ ასწავლიან ვისმეს ის მგალობლები, მე სრულიად არაფერი აღარა ვიცი რა.

რაიცა შეეხება მაჭავარიანისაგან ნოტების შედგენას ქართულის გალობისათვის, თუმცა ჩემდროს იყო და მოასწრო კიდეც გადაღება იოანე ოქროპირის, ვასილი დიდის და გრიგორი ღვთის-მეტყველის წირვებისა და ზოგიერთნი მწუხრისა და ცისკრისაც, მაგრამ იმ პირობით, რომ სავანელს შეეთანხმებინა.

მე მგონია, მაჭავარიანი იქამდინ კეთილშობილი იყოს, რომ, თუ რიგიანად არ იქმნება მისგან შემდგარი ნოტები, მაშინ ის არ იკადრებს ტყუილუბრალოდ მიიღოს ჯამაგირი. მოვალეობა კომიტეტისა კი, ჩემის აზრით, ის არის, მოსთხოვოს ეხლა მაჭავარიანს შემდგარი ნოტები და თუ არ აღმოჩნდება კანონიერი, მაშინ ფული დააბრუნებინოს მისის პირობისაებრ, რომელიც საქმეში არის ჩაკერებული.

უკუთუ ინებებენ მკითხველები შეიტყონ, თუ რავდენი ფული შეგროვდა სასარგებლოდ გალობისა ჩემს ხელში, მე მოვაგონებ 1879 წლის 100,156 და 239 „დროების“ № №-სა, რომლებიდგანაც შეიტყობენ, რომ სრულებით შემოსულა ას-ოც-და-ორი თუმანი, რვა მანეთი და ექვსი შაური ფული. აქედან დახარჯულა მგალობლების ჯამაგირებად, ნოტების გადამღებზედ და სხვა-და- სხვა წვრილ ხარჯზედ ოთხმოც-და-ხუთი თუმანი და ექვსი შაური, რომლის მიღებისათვის არის თვითეულის მიმღებისაგან ჯეროვანი ხელის-მოწერა. ოც-და-ჩვიდმეტი თუმანი ფული, შეტანილი სახემწიფო ბანკის განყოფილებაში კნიჟკით, გადაეცა ეხლანდელს კომიტეტს და ნაღდათაც დანაშთენი რვა მანეთი. ამის ანგარიშის მიცემა შეუძლიან კომიტეტს, რადგან იმათ იციან—თუ რავდენი რაში დაიხარჯა, ან ვისგან რა შემოიწირა; ან სწავლობს ვინმე თუ არა და ან როგორ ასწავლიან, ეს ყველაფერი კომიტეტზედ არი დამოკიდებული.

არხიმანდრიტი მაკარი.

მაისის 26-სა, ქ. თფილისს.

სამართალი

მიხაკო არაზოვის საქმე

თფილისის ოლქის სასამართლოში

28 მაისს.

მიხაკო არაზოვს ბრალად ედება თავის ცოლის მაჭანკლის ნინო ჯოხაძის მოკვლა.

სასამართლოს შეადგენენ: თავმჯდომარე **ზოლტორაცკი**, წევრნი **ბებუთოვი** და წევრის მაგიერ **სვინკინი** და სეკრეტარი **ირიცფუხოვი**. ამტყუნებს პროკურორის ამხანაგი **ვსევოლოდსკი**, იცავს ადვოკატი **ა. ი. საზონოვი**.

ბრალდებული სომეხი **მიხაკო ა. არაზოვი** 40 წლის კაცია, შუატანისა, მოსქო, წვერ მოპარსული, ულვაშ პატარა. ტან-საცმელი უფრო ბინძური აქვს, ვიდრე წმინდა. რომ შეჰხედოთ გაგიკვირდებათ—თუ როგორ უნდა გაებედნა ამისთანა კაცს არა თუ კაცის მოკვლა, არამედ სატევარზედ ხელის წავლებაც...

მოწმეთ რიცხვში არიან მოკლულის ნ. ჯოხაძის ორი შვილი და ბრალდებულის ცოლი **სოფიო არაზოვისა** — თავი-და-თავი მიზეზი ამ მკვლელობისა, რომელიც იქნება 22-23 წლის ქალი, მაღალ-მაღალი, ტანწვრილი, შავ-თვალ-წარბა და თეთრფეროვანია, აცვია წმინდად, მოხდენილად. შეხედულობა წყნარი და მორცხვი ქალისა აქვს, მაგრამ თუ დააკვირდებით, შეატყობთ, რომ ეს მანდილოსანი ეკუთვნის მშვენიერ სქესის იმ რიგ წყნარ არსებებს, რომელთშიაც ეშმაკები ჰბუდობენ...

ბრალმდებელ ოქმის წაკითხვის შემდეგ თავსმჯდომარემ უთხრა ბრალდებულს, რომ მას ბრალად ედება ნინო ჯოხაძის მოკვლა გულ-მოსვლით მოთმინებისაგან გამოსვლის დროს, და იცნობს იგი თავს დამნაშავედ, თუ არა?

მ. არაზოვი. მართალია მე შემომაკვდა ნინო ჯოხაძისა, მაგრამ სიკვდილი კი არ მინდოდა. მოთმინებიდგან გამომიყვანა, ბატონებო, ჩააცივდა ჩემს ცოლს და არ ეშვებოდა: იქამდის მიიყვანა, რომ შეაცდინა და ვილაცაებს ურიგებდა. თვითონ ცოლი გამომიტყდა ამაში და მითხრა, ასე შემაცდინა ნინომაო. მეც ვაპატიევე და ვუთხარ, მეტს ნუღარ იქ-მეთქი... ავდექით და სხვა ქუჩაში სახლი დავიჭირეთ... ერთიც ვნახოთ, ერთხელ საღამოს სახლში მოვდივარ და ვხედავ ნინო ჩემს მოკაზმულ ცოლთან დგას... —ქალო, რა გინდა აქ-მეთქი? რა მინდაო და შენი ცოლი თათართან მიმყავსო... მეც ავენთე კაცი, მოთმინებიდგან გამოვედი, ამოვიღე ხანჯალი და დავჰკარი... არ მახსოვს რამდენჯერ შემოვჰკარ, ან როგორ მოკვდა...

მოკლულის ნ. ჯოხაძის ორივე შვილებმა, რომელთაგან ერთი 30 წლისა და მეორე 25-ის იქნებოდა, ჩვენების მიცემაზე უარი სთქვეს: ამ საქმის შესახებ არაფერი ვიცით-რაო.

ამის შემდეგ ჩვენება მისცა ბრალდებულის ცოლმა სოფიო არაზოვისამ. ჩვენების ჩამორთმევამდე თავმჯდომარემ უთხრა მას, რომ როგორც ბრალდებულის ცოლს, შეუძლია, კანონით, არ უმოწმოს თავის ქმარს. როგორ ჰსურს მას: უნდა მისცეს ჩვენება, თუ არა?

ქალი ყოყმანობს: არ იცის რა ქნას. ამ დროს ქმარი წასჩურჩულებს: „უთხარი მინდა მოწმობა-თქო“. ცოლი უჯერებს და ხმის კანკალით, თავდახრილი ჩვენებას აძლევს. ლაპარაკის დროს ხან ალმური აუდის პირზე, ხან მკვდრის ფერი ედება...

სოფიო არაზოვისა. ჩემი ქმარი ნებას არ მაძლევდა, რომ იმ ქალთან (ნინო ჯოხაძესთან) მივსულიყავი ან თვითონ ის მენახა ჩემს სახლში. შემაცდინა, თქვენი ჭირიმე და ვილაცაებთან დავჰყავდი... მე გავუტყდი ქმარს და უთხარი, ასე შემაცდინა ნინომა-მეთქი... იმანაც მაპატივა, ამის შემდეგ კი... ჰკუიანად იყავიო, და სხვა ქუჩაზე დაიქირავა სახლი. მაგრამ იმ ქალმა არც იქ მომასვენა: ორჯელ მოვიდა და ერთხელ კიდეც წამიყვანა ვილაცასთან და მეორედ რომ მივჰყავდი, ამ დროს ქმარი შემომესწრო. ნინოსა ჰკითხა, რა გინდა აქაო? რა მინდაო და შენი ცოლი უნდა წავიყვანო თათართანაო. მაშინ ჩემმა ქმარმა ხანჯალი დაჰკრა და რამოდენიმე ხანის შემდეგ ის ქალი კიდეც მოკვდა.

თავსმჯდომარე. ვისთან და ვისთან დაჰყავდით?

სოფიო არაზ. რა მოგახსენოთ...

პროკურორის ამხანაგი. როცა თქვენს ქმარს უნდოდა იმ ქალისათვის ხანჯლის დაკვრა, ეცადა თუ არა ის დედაკაცი გაქცევას?

სოფიო არაზ. არა, არ ცდილა.

ადვოკატი. სახლი იმიტომ გამოიცვალეთ, რომ ის ქალი დადიოდა თქვენთან?

სოფიო არაზ. დიახ.

თავსმჯდომარე. მერამდენე მოსვლა იყო იმ ქალის თქვენს ახალს სახლში?

სოფიო არაზ. მეორე მოსვლა გახლდათ.

თავმჯდომარე. მერმე, როგორ მოგატყუეთ მეორედ მაინც, რომ კიდევ მზად იყავით წასასვლელად?

სოფიო არაზ. მეორედ, ბატონო, მითხრა, რომ ერთი შენი ნაცნობი ქალი ძალიან ავად არისო და წამოდიო. მეც მოვეწყვე და ის იყო მივჰყობოდი, რომ ქმარი შემოგვესწრო..

ამის შემდეგ გაიმართა ბაასი პროკურორის ამხანაგის და ადვოკატის შორის, რომელიც სულ ათიოდ მინუტს გაგრძელდა...

პროკურორი ამბობდა, მართალია, ნინო ჯოხაძის მოქცევას შეეძლო არაზოვის მოთმინებიდამ გამოყვანა, მაგრამ იმას მაინც იმდენად კი უნდა შეეკავებინა თავი, რომ იარაღი არ ეხმარა. პროკურორი თხოულობს, რომ იმ ქალის მოკვლა მიეწეროს არაზოვის მხრივ ბოროტ-განზრახულებით დაჭრას, და ბრალდებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაისაჯოს ამ შემთხვევისათვის დადგენილ კანონით, ერთის ხარისხით შემსუბუქებითა.

ადვოკატის აზრით, ყოველი კაცი, არა თუ ბრალდებულისთანა გაუნათლებელი, არამედ განათლებულიც არაზოვის ადგილზე მოთმინებიდამ გამოვიდოდა და იმავე დანაშაულობას ჩაიდენდა, რაც ჩაიდინა მ. არაზოვმა. ნინო ჯოხაძისა, როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, სისტემატიურად სდევნიდა არაზოვის ოჯახს, ანუ უკეთ ვსთქვათ სოფიო არაზოვისას: შეაცდინა და გადაახვევინა მას წმინდა ზნეობის გზიდამ, დაჰყავდა იგი უცხო კაცებთან და, თუმცა ქმარმა შეიტყო ყველაფერი და დაითხოვა თავის სახლიდამ, მაგრამ ის მაინც არ ეშვებოდა, ახალ სახლშიაც მიაგნო და აგრძელებდა თავის წინანდელ მაჭანკლობას. ბოლოს ერთს საღამოს არაზოვი ჰხედავს, რომ ნინო ჯოხაძისა მისი მოკაზმული ცოლის გვერდით დგას და მისს კითხვაზე—თუ რამ მოიყვანა იგი აქ, მაჭანკალი უპასუხებს: „შენი ცოლი თათართან უნდა წავიყვანოვო!“ ვინ არ გამოვიდოდა მოთმინებიდამ ამისთანა პასუხის გაგონებით? ნამეტურ არაზოვს არ გაემტყუნება, როგორც უსწავლელ კაცს, ამისთანა დროს გონების დაკარგვა და მოთმინებიდამ გამოსვლა.

ადვოკატი თხოულობს, რომ ნ. ჯოხაძის მოკვლა არაზოვისაგან სასამართლომ იცნოს უცაბედ შემთხვევად, რადგანაც ბრალდებულმა იმ აზრით კი არ დაარტყა ხანჯალი, რომ მოეკლა. ამიტომაც, დამცველის აზრით, არაზოვის დანაშაული ეშესაბამება კანონის იმ მუხლს, რომელშიაც მოხსენებულია რა რიგად უნდა დაისაჯოს ის ადამიანი, რომელიც მოთმინებიდამ გამოსვლის დროს ძალა-უნებურად მოჰკლავს კაცსა. ამასთანავე იგი თხოულობს, რომ კანონის ამ მუხლის სიმკაცრეც შეუმსუბუქონ არაზოვს, რადგანც ის უსწავლელი კაცია და იმდენი არ მოეთხოვება.

ამის შემდეგ სასამართლომ შემდეგი კითხვები დაადგინა: ა) დანაშაულია თუ არა ბრალდებული იმაში, რომ მან დასჭრა ნინო ჯოხაძისა იმ აზრით, რომ მოეკლა? ბ) თუ ამაში არაა დამნაშავე, იმაში არის თუ არა, რომ დასჭრა ნ. ჯოხაძისა განზრახულებით? გ) თუ დამნაშავეა, რა რიგად უნდა დაისაჯოს?

მოსამართლენი გავიდნენ საბჭო ოთახში და ხუთიოდე მინუტის შემდეგ გამოიტანეს შემდეგი განჩინება: სასამართლომ იცნო დამნაშავედ მ. არაზოვი ნ. ჯოხაძის მკვლელობაში, რომელიც იმ აზრით დასჭრა, რომ მოეკლა და ამიტომაც გადასწყვიტა, რომ ჩამოეხადოს მას ყოველივე ღირსება, ხარისხი და გარდაისახლოს ციმბირის „არა ესრედ შორს ადგილებში“; მაგრამ სასამართლო მჴედველობაში იღებს ამ საქმის განსაკუთრებულ გარემოებებს და ამის გამო იშუამდგომლებს **მისს იმპერატორებითი უდიდესობის** წინაშე, რომ დამნაშავეს სრული პატიება მიანიჭოს.

ი—ძე.

განცხადებანი

ქუთაისის გიმნაზია აცხადებს, რომ თანახმად ნებართვისა უფ. კავკასიის ნამესტნიკის თანამდებობის აღმასრულებლისა, შემდეგის 1880—1881 აკადემიური წლიდგან, სწავლის სიმართლისათვის შემოსატან ფულს მოემატება, გაინაზიის სპეციალური საშვალებების ნაკლულოვანებისა გამო და და დაინიშნება: პირველ-დაწყებით კლასში წელიწადში 16 მანეთი, პროგიმნაზიის კლასებშიდ 20 მანეთი და გიმნაზიის კლასებშიდ 26 მანეთი.—

(3—2)

იაგორ კასუმოვის და კამპ. კანტორაში ისყიდება დაბეჭდილი კონტრაქტები (პირობა) სახლის, დუქნების, მაღაზიების, ცარიელ ადგილების და სხ. ქირაობაზედ.

თითო ამ გვარი კანტრაქტის ფურცელი ღირს **შაურად**.

(10—2)

მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და ყველასაგან ხმარებული **წამალი ნაოფლარისა**, რომელიც (ნაოფლარი) სიცხისაგან გაჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით ხშირათ ფეხის თითებს შუა,

გალმანინი

(Гальманинъ)

ისყიდება აფთიაქებში და აფთიაქის წამლების მაღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში. მთავარი დეპო ამ წამლისა არის ფარმაციის მაგისტრის გ. კარპინსკის აფთიაქში ქ. ვარშავაში, ელექტორალის ქუჩაზე, № 35.

დიდი კარობკა გალმანინისა ვარშავაში 50 კაპ. ღირს, პატარა—30 კაპ.

უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემოგატყუონ.

გ. კარპინსკი.

(25—11)

ახლანდელ დიდს

გამოფენის

დროს,

ოლეოგრაფიული სურათები იყიდება 20% დაკლებით, მაკ-ინტოშები (მოსახურავები) 6 მანეთიდამ 20-მდე; შჩოთქები მოსაფხეკებითურთ თითო 75 კ.; შეკვეთილია შეფფილდში განსაკუთრებით ინგლისურ მაღაზიისთვის საუკეთესო სამართებლები, რწყვილა ბუდეებით ღირს 4 მან.; შეფფილდის დანები ჩანგლებიანათ დუჟინი 2 მ. 75 კაპეიკიდამ 20-მანეთამდე. ჩაინიკები ბრიტანიის მეტალისაგან 30 კაპეიკიდამ 3 მანეთამდე; ციტრატ-მაგნეზია, ოსმალოს შარბათი და სამწყურალო კვერების ბანქა 70 კ.; საუკეთესო პორტ-ვეინი და ხერესი 1 მ. 40 კ. ბოთლი, და შამპანიის ღვინო ბოთლი 3 მან. და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.**

(40—15)

კანტორა

ოდესის ვაჭრის

გრ. ზალინოვისა

(ადრესი: ოდესსა, ალექსანდროვის პროსპექტი, ფიშერის სახლი)

ჰყიდულობს და ჰყიდის, კომმისიით, ყოველ გვარ საქონელს.

აგენტურა სხვა-და-სხვა საქონლის გასასაღებლად.

წარმომადგენელია რუსის და საზღვარ გარეთის ფაბრიკებისა, ქარხნებისა და სავაჭრო სახლებისა.

აქვე ნარდათ ჰყიდის და ჰყიდულობს, გრეთვე კამისიის ფქვილს, საწვრიმალო და კოლონიალურ საქონელს.

(30—8)

პატენტიანი შროტკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ დუჟინი; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.**

(100—7)

კვირაცხოვლისა და შემდეგის
კვირის განმავალობაში

ინგლისის მაღაზიაში

20% უფრო იაფად

გაისყიდება სხვა-და-სხვა ინგლისის ქონელი.

(10—6)

იყიდება არწრუნის ქარვასლაში **ინგლისის მაღაზიაში**: პალტო 12 მანეთიდამ 24-მდინ, მთელი წყვილი ტანისამოსი 5-დამ 25-მდინ; ტრიკო, ბუმაზეია და პარუსინა ახლა 75 კაპ. არშინა და დრაპი 2 მანეთიდამ; პოდნოსები, გასაღებები 10 კაპ., წყლის დასაწმენდი ქვები 4—40 მან., თოფები უკანიდამ გასატენი 35 მანეთი და მეტი; ჩულქები და წინდები 8 მან., უნაგირები—25 მანეთი და მეტი, 25,000 გირვანქა ჩაი პირ-და-პირ ჩიახტიდამ 1 მან. და 10 კაპ. და საუკეთესო 2 მან. გირვანქა, დიდძალი კრავატები 5 მანეთიდამ 75 მანეთამდინ; საუკეთესო ხერესი 1 მან. 40 კაპ., შამპანის ღვინო—3 მან. ბოთლი და სხვ.

(25—25)

ჩაი! ჩაი! ჩაი!

როგორც იქნა ბოლოს მოვიდა ინგლისის მაღაზიაში დიდ-ძალი ჩაი პირ-და-პირ პლანტატორებისაგან და ისყიდება: 1 მან. 10 კაპ., 1 მან. 20 კაპ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80 კ. და საუკეთესო ჩაი 2 მან. გირვანქა, უქაღალდოთ, ე. ი. 25% უფრო იაფი და უკეთესი, ვიდრე სხვაგან სადმე.

სად არის ინგლისის მაღაზია?—არწრუნის ქარვასლაში.

(20—3)

პარუსინა, ბუმაზეია, ტრიკო, დრაპი, ხავერდი მებელისა და ფაეტონებისათვის, უნაგირები, ფოჩტის ქაღალდი და სხვ. 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, ისყიდება ინგლისის მაღაზიაში.

მურაბა გემრიელი, კანფეტიბი, ყველი, მაგნეზია შერბეთი წყურვილისათვის, ჭურჭლეული, ჩაინიკები, გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, ისყიდება **ინგლისის მაღაზიაში**.

კარბოლის პარაშოკი, კარბოლის წყალი და საპონი გადამდებ ავათმყოფობისათვის, მზის საათები დროების საჩვენებლად—ფასი 1 მან.—**ინგლისის მაღაზიაში**.

(40—3)

მთავარი კანტორა

სავაჭრო სახლის

იაგორ კასუმოვი და ამხ.

უცხადებს საზოგადოებას, რომ ვისაც სურს იყიდოს პირველი და მეორე, **შინაგანი სესხის მოგებიანი ბილეთები** შეუძლიან მიმართოს ამ კანტორაში, სადაც ეს ბილეთები ისყიდება ძალიან კარგის პირობებით, მთელის წლის განმავალობაში ნაწილ-ნაწილად ფულის შემოტანით.

კანტორა თვითონაც ჰყიდულობს აგრეთვე ზემოხსენებულ შინაგან სესხის მოგებიან ბილეთებს.

უფრო დაწვრილებითი პირობების შეტყობა მსურველს შეუძლიან სავაჭრო სახლის კანტორაში, ბაღის პირ-და-პირ, თუმანოვის სახლებში.

(10—6)

Дозволено цензурою. Тифлисъ 31 Мая 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი